ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

N 8 ოქმი

22.06.2022

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი

თვითმმართველობის შენობა

რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბატონი მამუკა რიჟამაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ირაკლი შენგელია, მაგდა კოსტავა, მანანა ჩიხლაძე, თეიმურაზ ნადირაძე, მერაბ ჭოხონელიძე, ელეონორა არჩაია, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე, ქეთევან ხურციძე, ანა კოხრეიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გრიგოლ შუშანია.

სხდომა გახსნა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა მამუკა რიჟამაძემ: მოგესალმებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული გვაქვს ერთი საკითხი:

1. ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის დავით წიტაიშვილის ანგარიში სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული ბავშვთა ოთახების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ.

დღის წესრიგთან დაკავშირებით თუ არ გაქვთ შენიშვნები, გთხოვთ, ვუყაროთ კენჭი დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს, დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს წარმოგვიდგენს, ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი დავით წიტაიშვილი.

დავით წიტაიშვილი: მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ უზრუნველყოფილი იქნა ბავშვთა უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის კოორდინატორის მიერ 2022 წელში განსახორციელებელი აქტივობათა წლიური გეგმის შედგენა.

2022 წლის თებერვალში სამუშაო შეხვედრა შედგა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვთა უფლებათა „ცოდნის ცენტრში" მე-13-ე ფილიალის მეთოდისტებთან, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის აღმზრდელებსა და მშობლებთან.

2022 წლის 17 მარტს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვთა უფლებათა „ცოდნის ცენტრში" გაიმართა ტრენინგი თემაზე „ბავშვთა უფლებები", ტრენინგს ესწრებოდნენ 1 დან 18 ფილიალის ჩათვლით 5-6 წლიანი ასაკობრივი ჯგუფების აღმზრდელები. 24 მარტს ამავე ფილიალების მშობლებთან გაიმართა ტრენინგი თემაზე „პოზიტიური მშობლობა".

21 მარტს დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით გაიმართა სხვადასხვა სახის პრეზენტაციები და აქტივობები, ჩართული იყო ყველა ფილიალი.

აპრილის თვის დასაწყისში უზრუნველყოფილი იქნა შშმ და სსმ აღსაზრდელთა მონაცემების ერთიანი ბაზის შექმნა.

2022 წლის 11 აპრილს მე-7 ფილიალში წარმოდგენილი იქნა პროექტი „როგორ გადავცეთ სკოლამდელი აღზრდის აღსაზრდელებს ბავშვთა უფლებათა კონვენცია".

2022 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლით მოხდა დამატებით 8 (რვა) სპეციალური განათლების მქონე პედაგოგის დანიშვნა, საერთო რაოდენობა შეადგენს 49-ს (ორმოცდაცხრა).

აღსაზრდელთა საერთო რაოდენობა ბაგა-ბაღებში შეადგენს 8 246 (რვა ათას ორას ორმოცდაექვსი).

კვების უვნებლობის კოორდინატორმა ჩაატარა ტრენინგი მნეებთან, რომლის მიზანი იყო მთავრობის 487-ე დადგენილების გაცნობა, რომელიც წარმოადგენს ტექნიკურ რეგლამენტს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და დაწესებულებებში კვების ორგანიზებასა და რაციონალური კვებითი ღირებულების ნორმების შესახებ". დადგენილების მიხედვით შემუშავდა კვების პროგრამა.

ბაგა-ბაღის თანამშრომელთათვის შვიდ დღეში ერთხელ ტარდებოდა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ტესტირება (მხოლოდ ანტიგენის სწრაფი ტესტით).

სასწავლო პროცესის დროს გადადების მაღალი რისკის თავიდან აცილების მიზნით, სადაც გამოვლინდა კოვიდ-ინფექციის შემთხვევები, მოხდა ბაღების დახურვა, თვითიზოლაციაში გადავიდა ერთეული ჯგუფები. აღნიშნული პროცესის მართვა განხორციელდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურთან შეთანხმებით, შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინების საფუძველზე.
უზრუნველყოფილი იქნა სასმელი წყლის ვარგისიანობის დადგენა.
მარტიდან გეგმიურად ჩატარდა პროფილაქტიკური სადერატიზაციო და სადეზინსექციო სამუშაოები.
ბაღებში შეტანილი იქნა ხელისა და მყარი ზედაპირების სადეზინფექციო ხსნარები, ჰიგიენური საშუალებები (პირბადე, ბახილები, ერთჯერადი ხელთათმანები, ერთჯერადი ხალათები და ერთჯერადი ხელსახოცები).
სან-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და სამედიცინო სამსახურის ზედამხედველობის კოორდინატორის მიერ მოხდა მორიგი სამუშაო შეხვედრა ექთნებთან, რომლებსაც გააცნო კორონავირუსის ინფექციასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.
მანანა ჩიხლაძე: კვების კალარაჟს ვინ თვლის?
დავით წიტაიშვილი: კვებით კალორაჟს თვლის კვების კოორდინატორი.
მამუკა რიჟამაძე: დღეში რამდენჯერ არის კვება?
დავით წიტაიშვილი: 4 -ჯერ, საუზმე, ხილი, სადილი, ვახშამი.
მამუკა რიჟამაძე: სახატავ ფურცლებს და ფანქრებს როგორ იძენთ? და თუ გაქვთ პლასტელინები?
დავით წიტაიშვლი: ფურცლებს ვყიდულობთ კონსოლიდირებული ტენდერით, ფანქრებს ჩვენ ვიძენთ, პლასტელინებიც გვაქვს, აუცილებელია ბავშვის ხელის მოტორიკის განვითარებისთვის.
მამუკა რიჟამაძე: რამდენი პედაგოგია ჯგუფში?
დავით წიტაიშვილი: არის 2 ცვლა, პირველი ცვლა 9 საათიდან 14 საათი და 30 წუთამდე , მეორე ცვლა -14 საათი და 30 წუთიდან 18 საათამდე, აღზმრდელი არის 9 საათიდან 14 საათი და 30 წუთამდე  და ძიძა 14 საათი და 30 წუთამდე. მთელი დღის განმავლობაში არის თანაშემწე. ძირითადი დატვირთვა მოდის აღზმრდელზე, მეორე ცვლაში არის ბავშვების გართობა.
თეიმურაზ ნადირაძე: სულ რამდენი ბაღი გვაქვს? და რამდენი აღსაზრდელია?
დავით წიტაიშვილი: სულ გვაქვს 37 ბაღი, 8237 ბავშვია.
მამუკა რიჟამაძე: რამდენია აუტისტური სპექტრის ბავშვი?
დავით წიტაიშვილი: სულ არის 200 აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვი
მამუკა რიჟამაძე: რამდენი სპეც პედაგოგი გყავთ?
დავით წიტაიშვილი: 49 სპეც პედაგოგია. რომლებსაც აქვთ პედაგოგის დიპლომი, თბილისში უსასყიდლოდ გადავამზადეთ და არიან სერთიფიცირებულები.

მამუკა რიჟამაძე: ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ რა ხდება?

დავით წიტაიშვილი: მემორანდუმი გვაქვს გაფორმებული აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტთან , გვაქვს სპეც ოთახები, 4 ჯერ ჩატარდა ტრენინგი, არამხოლოდ პედაგოგებისთვის არამედ მშობლებსაც ჩავუტარეთ. ყოველმკვირეულად ვიღებთ ახალ ინფორმაციას გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდიდან.

მამუკა რიჟამაძე: როგორც ვხედავ მეტი კითხვა არ გვაქვს ბატონ დავითთან, მინდა მადლობა გადავუხადო მობრძანებისთვის და წარმატებები ვუსურვო.

ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის დავით წიტაიშვილის ანგარიში კომისიამ ერთხმად მოიწონა და ცნობათ მიიღო.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ სხდომა დაასრულა.

ჯანდავცისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე

მამუკა რიჟამაძე